ხანის აკადემიის რესურსებით ჩატარებული გაკვეთილის

ნიმუში

მასწავლებელი(მწვრთნელი): ნატალია ჭყონია

სამიზნე ჯგუფი: სსიპ ქალაქ თბილისის N174 საჯარო სკოლის VII გ კლასი.

წინაპირობა :

● მოსწავლეებს აქვთ ანგარიშები -თითოეული მათგანი დარეგისტრირებულია ხანის აკადემიის გვერდზე.

● იცნობენ საიტის ზოგად სტრუქტურას

○ სად ნახონ საგნები როგორ ნახონ საკუთარი პროგრესი

○ როგორ ნახონ მასწავლებლის რეკომენდაციები

● ყველა მოსწავლე ზის ცალკე კომპიუტერთან ინტერნეტი არის

● მასწავლებელს აქვს გაგზავნილი რამდენიმე (სავარაუდოთ 3)დავალება უკვე ნასწავლი თემებიდან

○ დავალებებს თვითონ მასწავლებელი ირჩევს

მიზანი

● გავლილი მასალის გამეორება - განმტკიცება და გაფართოება(ჩაღრმავება)

მომზადება

| ნაბიჯი

 მოსწავლე

● მოსწავლეები იღებენ დავალებებს განვლილი მასალიდან.

● უყურებენ ვიდეოებს, ხსნიან შესაბამის ამოცანებს.

მასწავლებელი

● წინასწარ ვუგზავნი ვიდეოებს და ამოცანებს.

● შემდეგ ვამუშავებ ანგარიშებს

○ ვინ უყურა ვიდეოს, რამდენი ხანი.

○ ვინ იმუშავა სავარჯიშოებზე და როგორ ამოხსნა. შეცდომით თუ სწორად.

○ ვეძებ თუ არიან მოსწავლეები ვისაც „უჭირს გამკვლავება“.

● ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით ვადგენ გაკვეთილის გეგმას.

■ დავყოთ კლასი სამკაციან, არაჰომოგენურ, გუნდებად. მოსწავლეები დაეხმარებიან ერთმანეთს და გუნდურად მეტი ხალისით და მონდომებით იმუშავებენ

■ პროექტორზე ჩავრთოთ ანგარიში – დროის რეალურ რეჟიმში საშინაო დავალებაზე მუშაობა | ნაბიჯი 1 | 10 წუთი

მოსწავლეების ერთ დღიანი ჯგუფები

იმის მიხედვით თუ როგორ შეასრულეს მოსწავლეებმა საშინაო დავალება მოსწავლეებს გავანაწილებთ სხვადასხვა ერთ დღიან ჯგუფში, თითოეულ ჯგუფში ერთი ისეთი მოსწავლე მაინც უნდა იყოს რომელიც “კაპიტნის” და სხვებისთვის დამხმარის როლს კარგად შეასრულებს. თითოეულ გუნდს მივცეთ 5 წუთი მაქსიმალური ენერგოქულების მისაღწევად მიცემულ თემებთან დაკავშირებით

თემის გარჩევა

| ნაბიჯი 2 | 10 წუთი მთელ კლასთან განვიხილავ შეჯიბრების მიმდინარე თემას.

● ვაზუსტებთ თავიდან ვინ რა ვერ გაიგო. რა გაიგო არასწორად.

● თემის თეორიული განხილვას ვაწარმოებ ეკრანზე გამოტანილი სტატიის მიხედვით; ვაზუსტებ დამატებით დეტალებს რომელიც მოსწავლეებმა ვერ გაიგეს.

ვარჯიში

| ნაბიჯი 3 | 10 წუთი

მოსწავლეები

● სავარჯიშოების გაკეთება იგივე თემების განმტკიცებისთვის

● მოსწავლეები რჩებიან იგივე ჯგუფებში და აკეთებენ სავარჯიშოებს იგივე თემებზე, სასურველია ცოტათი ძნელს, ან მაგალითად თუ ადრე მე-7 კლასის მისიიდან იყო გახსნილი ახლა პრე-ალგებრიდან გავხსნთ.

მასწავლებელი

● აკვირდება მოსწავლეების შედეგებს

დასრულება

| ნაბიჯი 4 | 10 წუთი

● იმ გუნდის გამოვლენა ვისაც ყველაზე მეტი ენერგიის ქულა აქვს

● შემდეგი დავალების მიცემა

● თვითონ მოძებნონ საინტერესო თემა

● საკუთარი ტემპით სწავლის შესახებ საუბარი .